



შირაკი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№28 (9.987)

7 - 14 აპრილი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა



ბიოსფერული რეზერვატი-გზა ეკონომიკური სტაბილურობისკენ



ევროკავშირი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, წლებია, გარემოსდაცვითი ინიციატივებს უჭერს მხარს, რისთვისაც არაერთ პროექტს ახორციელებს.

ერთ-ერთი ასეთი პროექტია „ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მოდელის დარსება კახეთის რეგიონში“, რომელიც ევროკავშირის ფინანსური დახმარებით 2019 წლიდან ხორციელდება. პროექტი აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის ბიოსფერული რეზერვატების დაფუძნების ნომინაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია თუშეთისა და დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატების შექმნა.

ბიოსფერული რეზერვატი გრძელვადიან პერიოდში რეგიონის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გონივრული გამოყენების გზით. იგი ხაზს უსვამს ტერიტორიის გამორჩეულობას და ხელს უწყობს მრავალფეროვანი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის ერთ-ერთი მარგალიტი - ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, იგი ბიოსფერული რეზერვატის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, ასე მაგალითად: ვაშლოვანის ნაკრძალი და ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონა მისი ბირთვია, მართვადი და ტრადიციული გამოყენების ზონა კი მისი ბუნებრივი ზონის შესატყვისია. ბუნებრივი ზონის ფუნქციას ასრულებს ასევე ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორია, რომელიც ვაშლოვანის მხარეში ბიომრავალფეროვნების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, გარდამავალი ზონა თითქმის მთელ დედოფლისწყაროს ტერიტორიას მოიცავს, ის მონოდედობილია ხელი შეუწყოს და განავითაროს მწვანე ბიზნესი არა აკრძალვებისა და ჯარიმების საშუალებით, არამედ წარმატებული ეკონომიკური პროგრამების განხორციელებით.

ვაშლოვანი და ჭაჭუნა დედოფლისწყაროელი ადამიანისთვის სიამაყის წყაროა. უამრავი ვიზიტორი მხოლოდ იმისთვის ჩამოდის დედოფლისწყაროში, რომ ეს ტერიტორიები დაათვალიეროს. ვიზიტორთა ნაკადი კიდევ უფრო გაიზარდა, თუ დედოფლისწყარო მოიკოვებს იუნესკოს წინადადებაში ბიოსფერული რეზერვატის სტატუსს. ეს უპასუხისმგებელი არ ანუასებს რაიმე მკაცრ შეზღუდვებს, შესაბამისად, გაცილებით ნაკლებია კოტაქტური კონფლიქტი გუნების დაცვასა და ეკონომიკურ საქმიანობას შორის.

ბას შორის. ბიოსფერული რეზერვატის შექმნა დედოფლისწყაროს ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის გაზრდის დიდ შესაძლებლობას იძლევა. აქედან გამომდინარე,

დაწყებას მუნიციპალიტეტში გაცილებით ადრე გეგმავდნენ, თუმცა, კოვიდ-19-ის გამო, მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია რამდენიმე თვით დაგვიანდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილის

„თუკი მოსახლეობა მეგობრულადაა განწყობილი გარემოსადმი, ბუნებისადმი და ფიქრობს იმაზე, როგორ განავითაროს ეკონომიკა ისე, რომ გაუფრთხილდეს ყოველ ცოცხალ არსებას, ის



ეს პროექტი ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში პრინციპულად დადებით და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ბიოსფერულმა რეზერვატმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას ფინანსური სარგებლის მიღება შეეძლება. მაცხოვრებლებისათვის ბიოსფერული რეზერვატში სტაბილური ეკონომიკური შემოსავლის შეთავაზება საუკეთესო გზაა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ის გარემოს დაცვითი შეზღუდვა იქნება დაცული, რომლებიც ბუნების კონსერვაციის ღონისძიებებითაა განპირობებული. ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შეეძლოს, გამოიყენოს საარსებო თანხა და მჭიდრო სინჯლოში აკავშირებდეს რეგიონთან. შესაბამისი ეკონომიკური სტიმულის გარეშე ბიოსფერული რეზერვატი წარმატებული ვერ იქნება. - ასე განმარტავს რეგიონისთვის ბიოსფერული რეზერვატის არსებობის მნიშვნელობას დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

დედოფლისწყაროს მერი პროექტის აქტივობებზე გვიყვება, თუ როგორ იგეგმება ადგილობრივ მოსახლეობაში ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და აღნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში, დაიწყება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ადგილობრივ მაცხოვრებლებთან. შეხვედრების

თქმით, პროექტების სხვა დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებით გამოწვევები არ შეხვედრიათ. რაც შეეხება ცნობიერების ამაღლებასა და მოსახლეობის ინფორმირებას, ამისთვის დედოფლისწყაროში ორი ინფრასტრუქტურული პროექტი მოეწყობა, რომელზე მუშაობაც უკვე მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული მიმართულება მთლიანი პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. დაგეგმილია ერთი საინფორმაციო სარეკრეაციო სივრცის მოწყობა ელიის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოეწყობა გადასახედი მოედანი, არხილიკალოს, ტახტიფასის ტალახის ვულკანების და დედოფლისწყაროს შემოსასვლელ მიდამოებში. ყველგან მოეწყობა საინფორმაციო დაფები.

ამირან კოჭიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინიციატივას დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა, პროფესიით ეკოლოგია, რომელსაც გარემოსდაცვითი მიმართულებით 30-წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. იგი ამავე პროექტის მენეჯერია და თავის გამოცდილებას ყოველ ნაბიჯზე უზიარებს როგორც პროექტში ჩართულ მხარეებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას. ამირანი გვიყვება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავად ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ბიოსფერული რეზერვატის დაარსების პროცესში:

ამით თავისივე სასიცოცხლო გარემოს დაცვას, ასე მივიღებთ ჩვენ ბიოსფერული რეზერვატის სტატუსისთვის საჭირო მდგომარეობას. ამ პროცესში თვითოეული ადამიანის როლი ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომაც საჭირო, რომ მოსახლეობას ავუხსნათ - ველური გარემო, ბუნება, არ არის მხოლოდ რესურსი, რომელიც უნდა მოიხმარო და ისარგებლო. ის არის ცოცხალი ეკოსისტემა, სადაც სიცოცხლე დულს და ამ სასიცოცხლო პროცესებს გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ამ ნიშნით დაიგეგმა, რომ მეტი ინფორმაციის მიღების საშუალება მიეცეთ ადამიანებს. ამისთვის, მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გამოყოფილია სივრცე, ეს ბიოსფერული რეზერვატის საინფორმაციო ცენტრია, სადაც განთავსებულია ბეჭდური მასალა, საინფორმაციო ბუკლეტები და ფოტოები დედოფლისწყაროში არსებული ბიომრავალფეროვნებისა და აგრო-ბიომრავალფეროვნების შესახებ“.

რას არის თავისი არსით ბიოსფერული რეზერვატი?

ერთი შეხედვით ეს ძალიან მარტივად აღსაქმელია, ის მიზნად ისახავს ადამიანსა და ბუნებას შორის დაბალანსებული ურთიერთქმედების ნახაზის შესახებ. ეს არის ძალიან

გაგრძელება გვ.2/

ირაკლი ღარიბაშვილი: „არხილოსკალოში ლაშა ბექაშვილის სახელობის დარბაზი აშენდება“



პროგნოზის მიერ დაპირებულ მილიონ ლარტან ერთად, ლაშა ბექაშვილს სხვა საწარმოებში ელოდებოდა. შეხვედრამ სიურპრიზი პრემიერმა თავად ბაშვილმა.

„ეს არის უდიდესი სიხარული, ჩვენი ერისთვის და ერთ-ერთი გამორჩეული შემთხვევა ქვეყნის ისტორიაში. მე მინდა, ლაშას ამ გმირ კაცს კიდევ ერთხელ მივულოცო ეს უდიდესი გამარჯვება. ის არის ჩვენი სიამაყე. დღეს მე ლაშას ვაცნობ, რომ მის მშობლიურ სოფელში მისი სახელობის ახალი დარბაზი აშენდება“-განაცხადა

7 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მშობლიურ რაიონს ეწვია. ის არხილოსკალოში, საეცილაურად ოლიმპიური ჩამოყვანილობის ლაშა ბექაშვილის მონუმენტს და მისთვის სურპრიზის ბასსაქვეყნად პირდაპირ ჩავიდა. როგორც ცნობილია, ბავრცელმა ინჟინერმა, რომ მთა-

ირაკლი ღარიბაშვილმა. „ეს ჩემი ოცნება იყო, ჩემი და ჩემი მწვრთნელის, რომ სოფელში დარბაზი აშენებულიყო და ბევრი სასახელო ადამიანი გაზრდილიყო აქ. დღეს ეს ოცნება ახდა. მადლობა ამისთვის პრემიერს“-თქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. ტარიელ ხაჩიკაშვილი, „იბერია

ბიზნეს ჯგუფის“ პრეზიდენტი: „ძალიან მიხარია, რომ ოლიმპიური ჩემპიონის დარბაზი იქნება არხილოსკალოში. მინდა ვთქვა, რომ სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდობის ფონდის ხელშეწყობითა და ჩვენი ფინანსებით, თავიდან-ბოლომდე მოხდება ამ დარბაზის აღჭურვა და კეთილმოწყობა. მე ვიქნები, ეს ერთობა მოგვცემს საშუალებას, რომ არაერთგზის კიდევ გავიხაროთ ღირსეული სპორტსმენების გამარჯვებებით“.

პრემიერის გადაწყვეტილებით, არხილოსკალოში, ცოტა ხანში, ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ძირითადი საწარმოები დაარსდება. მომავალი ოლიმპიადისთვის მზადებას ლაშა ბექაშვილი უკვე თავისი სახელობის დარბაზი შექმნის. მას ყველა პირობა ექნება შეამშენოს იმისათვის, რომ დადგენილი პირობა - კიდევ 3 ოლიმპიური ოქრო მოუტანოს საქართველოს.



„ასეთი ფერები არის მაგალითი, როგორ უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა“...



დედოფლისწყაროში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კიდევ ერთი ფერმა გაიხსნა. ბასნის საზაფხულო ცენტრში ბარამოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი, ასევე მისი მხარის სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი შიოშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და დარბაზის მესაკონსტრუქტორი მსწრაფად. ფერმა „შალვაშვილის აბრკაველი“- ფარმაცეუტიკულია.

ფერმის დამფუძნებელი ახალგაზრდა ფერმერი ზურა მასურაშვილია. ზურა მასურაშვილი: „არსებული მეურნეობა დაარსდა და ასეთი სახე მიიღო აგროკრედიტის საშუალებით. ვისარგებლე აგროკრედიტით, დახმარებით, მილიონ ნახევარი ლარის ფარგლებში, დანარჩენი ფინანსები იყო ზოგი გრანტიდან, ზოგი -პირადი სახსრებიდან. ჯამში, ამ შენობის აშენება საქონლის ჩამოყვანით 2 მილიონ ნახევარი ლარი დაჯდა. დღეს ფერმაში არის 150 სული მაღალპროდუქტიული ჯიშის საქონელი, ამ ეტაპზე დასაქმებულია 10 ადამიანი“.

ლოს ფერმერთა საზოგადოება. ბატონი ზურას დღევანდელი ფერმა იმით არის საინტერესო, რომ მან დაიწყო რამოდენიმე ძროხიდან, წლების მანძილზე განავითარა, ნახა, რომ ეს ბიზნესი არის ძალიან რენტაბელური, წარმატებით ყიდის რძეს, და სახელმწიფოს დახმარებით, აგროკრედიტით, რენტაბელური პროგრამით, ავსტრიის ფონდის დახმარებით, საკუთარი რესურსებით, რომელიც მიღებული ჰქონდა თავისი ფერმიდან, შეძლო ამ საუკეთესო შენობის აშენება, რომელშიც, დღეისათვის უკვე ჩამოყვანილია საუკეთესო ჯიშის 100 მერძეული ძროხა და შეივსება 300 სულამდე. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა ვითარდება დიდი წარმატებით“.

იმ სახლეებისთვის ფეხის აწყობა ხდება, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარება მოჰყვება. აქ არის როგორც სახელმწიფოს ხელშეწყობით „იაფი აგროკრედიტის“ პროგრამა გამოყენებული, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის გრანტები და, რაც მთავარია, ზურას საკუთარი თანხა. ეს ფერმა არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ იქნება ხვალისდელი დღე დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობაში. მოგვხსენებთ, რომ აგრარული სექტორი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ნამყვანი დარგია, ბევრი ფერმაა, რომელსაც ჰყავს მსხვილფეხა პირუტყვი, მაგრამ გუშინდელი დღით აგრძელებს ცხოვრებას, ანუ ტრადიციული მეთოდით, როცა საძოვარზე ხდება საქონლის გაშვება და შედეგად არასახარბიელოა- ჭარბ მოყვანას მოჰყვება-ხოლომე საძოვრების დეგრადაცია.

ბას, როდესაც იცი, რომ არის ხარისხიანი პროდუქტი და ჯანმრთელი პირუტყვი. და ასეთი ფერმები არის კარგი მაგალითი იმის, თუ როგორ უნდა განვითარდეს მერძეული, მებრძოლი მეურნეობა... და რაც მთავარია, ყველაზე კარგი არის ის, რომ ესენი არიან ახალგაზრდები, განათლებამიღებული დასავლეთში და შემდეგ უკვე უბრუნდებიან რეგიონს და იმ ინვესტიციას, რომელიც მათში ჩადეს, უბრუნებენ თავის ქვეყანას“.

ზურამ ახალი გზით აირჩია სიარული. მის მსგავსად არიან სხვა ფერმერებიც. იმედი მაქვს, რომ რამდენიმე წელიწადში ძირითადი მიმართულება იქნება სწორედ ბაგური ტიპის ფერმები, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიები და, რაც მთავარია, თანამედროვე ჯიშები არის გამოყენებული“.

ინგა შიოლაშვილი

ინგა შიოლაშვილი

„ყველა დიდი მსოფლიო მიღწევა ბავშვური ოცნების რეალიზებაა“...



ნარმოვიდებინათ სხვა კონტინენტზე ანდა შორეულ ქვეყნებში გადაადგილება თვითმფრინავის გარეშე? ალბათ, არა. მაგრამ იყო დრო, როცა ის მხოლოდ ადამიანების აუხდენელ ოცნებას ნარმოვიდებდა. ამაზე მიტყუვალა ჩვენამდე მოღწეული ნახატები, სადაც ჩვენი წინაპრები თავიანთი სურვილებზე უხმოდ, ფუნჯების დახმარებით საუბრობდნენ.

დღეს საჭიროების გარდა, ინოვაციას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქვეყნების ეკონომიკურ კეთილდღეობაში. ის ხელს უწყობს მაღალ კონსტრუქციულ განვითარებას, რაც ეხმარება ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებას. სტატისტიკურად, იმ სადაც განვითარებულია ინოვაცია, შესაბამისად, მაღალია საზოგადოების ცხოვრების დონე. ეს კი განვითარებული ეკონომიკის ერთ-ერთი ფაქტორია.

საძარითველოში, ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერით, დაიწყო ტექნოპარკების გვიანდელი დასაბამი.

ტექნოპარკების და ინოვაციური ცენტრების ფუნქციაა, განავითაროს საქართველოში ტექნოლოგიების და ინოვაციების სფერო. რა არის ზომავად ტექნოპარკი? ეს არის სივრცე, სადაც მოთავსებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო რესურსები. ამ სივრცის მიზანია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება საქართველოში. ასეთი პარკები ეხმარება ისეთი მიზნების არსებობასა და ფუნქციონირებას, რომელიც მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული. ის იქნება კონკურენტუნარიანი როგორც ვინაობა, ასევე ფართო, მსოფლიო ასპარეზზეც.

ტექნოპარკი ერთგვარი კომბინაციაა ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსისა, რომელსაც აქვს უნარი, იქცეს განვითარების ერთგვარ ეპიცენტრად, რადგან მუდმივად განახლებადი ხასიათი აქვს.

ტექნოპარკებში შევხვდებით ინკუბატორებს, ლაბორატორიებს, რეკრეაციულ სივრცეებს. რაც შეეხება ინოვაციურ ცენტრებს, ისინი ნარმოადგენენ ტექნოპარკებს.

ბს შედარებით მცირე მასშტაბით. ის მომხმარებელს ლოკალურად სთავაზობს იმავე სერვისებს, რასაც ტექნოპარკები.

სანამ იღებ ჩამოყალიბდება სტრატეგია, საუკეთესო შუა პერიოდია ტექნოპარკი. აქ, ასე შემთხვევით, კარგი გარემოა სხვადასხვა იდეის ხორცშესხმისთვის, რადგან შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი არიან დამფუძნებელი ინოვატორები საერთაშორისო გამოცდილებით.

დედოფლისწყაროში, რამდენიმე თვეა, აქტიურად მიმდინარეობს ინოვაციების ცენტრის ადვოკატირების პროექტი, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ჰორიზონტი“ ახორციელებს.

რა მიდგომა აქვს ინოვაციების ცენტრის მიმართ ადგილობრივ ხელისუფლებას, როგორ უყურებს ის დედოფლისწყაროში ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებას უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის ჩრდილში, ამის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშიაძე საუბრობს.

- 2020 წლის სექტემბრიდან მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებს მიემატა მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, რადგან ქვეყნის ეკონომიკა რეგიონების განვითარებაზე და მის სიძლიერეზე დგას. მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს ბიზნესის საჭიროებები და მის განვითარებაზე მუდმივად იზრუნოს. როგორ არის შესაძლებელი რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა?

- ქვეყნის განვითარება ნარმოადგენელია ძლიერი ეკონომიკის გარეშე. ასევე არასწორია მიდგომა, რომ განვითარდეს მარტო დიდი ქალაქები. ამ შემთხვევაში ეკონომიკისა თუ სხვა მიღწევების გავრცელება მთელი ქვეყნის მასშტაბით არ მოხდება. თუ გვინდა, რომ რეგიონები და რაიონები განვითარდეს, თვითმმართველობის უფლებამოსილება უნდა გაიზარდოს. რადგან ადგილზე გაცილებით კარგად ჩანს მუნიციპალიტეტის ყველა საჭიროება. ამიტომ ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა უკვე სწორია. მეორე, თქვენ აღნიშნეთ, რომ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებად განისაზღვრა და, სწორია, მაგრამ იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტმა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტს მხოლოდ ფუნქციები კი არ გადაეცეს, არამედ სახსრებიც. ამასთან დაკავშირებით ბოლო წლებში დადებითი ძვრები არის და თვითმმართველობის რეფორმა, რომელიც ხორციელდება, წლიდან-წლამდე ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების და ფინანსური რესურსების გაზრდასაც გულისხმობს, რისი ნათელი მაგალითია, მაგალითად, დამატებითი ღირებულების გადასახადის განაწილება მუნიციპალიტეტებზე, ქონების გადაცემა... მომავალშიც მთავრობა გეგმავს ამ მიმართულებით სხვადასხვა ნაბიჯების გადადგმას. ეს სწორი მიდგომაა - როდესაც ფინანსურად ძლიერი იქნება მუნიციპალიტეტი, ის ადგილზე შეძლებს საჭიროებისამებრ ადგილობრივი პროგრამების, გეგმებისა თუ მიმართულებების შემუშავებას. მდგრადი ეკონომიკური განვითარება მოიცავს რამდენიმე მიმართულებას - ეს არის საჭიროების განსაზღვრა, სურათის დანახვა, გეგმის დასახვა და კონკრეტული მიქანიზმები, როგორ უნდა მივიღოთ მიზნისკენ. რაც შეეხება საჭიროების განსაზღვრას, ამ მხრივაც ყოველწლიურად წინ იდგმება ნაბიჯები - მერთან არსებული ეკონომიკური განვითარების საბჭო, მრჩეველთა საბჭო, ახალგაზრდული ლიგა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საბჭოება შექმნილი, რომლებიც ეტაპობრივად იკრიბება და მიზნად ისახავს იმას, რომ მოხდეს საჭიროებების განსაზღვრა სხვადასხვა მიმართულებით მუნიციპალიტეტში. გარდა ამისა, კოვიდპანდემიამ ცოტა შეგვაფერხა, თორემ, იმართებოდა ფორუმები ადგილობრივი ბიზნესის მონაწილეობით, რათა მათი მხრიდან მომხდარიყო ინიციატივების გამოჩენა, საინტერესო იყო მათი ხედვები, თუ რა უნდა მოხდეს და როგორ უნდა მოხდეს, რა ნაბიჯები უნდა გადადგას მუნიციპალიტეტმა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ, რომ ეკონომიკური განვითარება დადგეს, როგორც შედეგი.



მოგესხებათ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ხელშეწყობის ძალიან კარგი მიქანიზმები აქვს, გრანტის და იაფი კრედიტის სახით, რომლებიც კარგად მუშაობს. 2021 წელს, პარლამენტის აგრარულმა კომიტეტმა, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკას განსაზღვრავს, უკვე ორი გასვლითი შეხვედრა ჩატარა ჩვენს მუნიციპალიტეტში. დედოფლისწყაროში ადგილობრივ ფერმერებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა საჭიროებები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაისვა და ისინი სამომავლოდ გადაწყდება. ძალიან კარგი როლი ითამაშა ამ განვითარებაში არასამთავრობო სექტორმა და „ემპარდი 2“-ის პროგრამამ, რომელიც დედოფლისწყაროსთვის სიახლე იყო. ამ გრანტებმა, გარკვეულწილად, კარგი გამოცდილება მოგვცა ჩვენ და ასევე, გრანტის მიმღებებმა კონკრეტული ბიზნეს-იდეები განახორციელეს. ამ მიმართულებითაც ჩვენ დავინახეთ, რომ ევროპიდან არც ისე შორს ყოფილა დედოფლისწყარო, როგორც აქამდე გვეგონა. ალბათ, მსგავსი პროექტები მომავალშიც იქნება.

ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობა გეგმავს, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით, ცენტრალური ხელისუფლებისა და დონორი ორგანიზაციების დახმარებით, პატარ-პატარა, წამახალისებელი პროექტები შევიშუშავოთ, /გაგრძელება გვ./



„ყველა დიდი მსოფლიო მიღწევა გავშვური ოცნების რეალიზება...“



რომ ადგილობრივი ბიზნესის განვითარება მოხდეს. დიდი ბიზნესი ძალიან კარგია, გაცილებით ბევრ ადამიანსაც ასაქმებს და საბიუჯეტო შემოსავლების მხრივაც მომგებიანია, მაგრამ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ადგილზე ხალხის დასაქმება არის ძალიან მნიშვნელოვანი.

- როცა მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ახალი სერვისების შექმნაზე. ალბათ, ხელისუფლებამ უნდა შეუწყოს ხელი საგანმანათლებლო მიმართულებას. ინოვაციური განათლება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სიახლეებზე ორიენტირება, ეს ბიზნესს ხდის კონკურენტულს და უზანაგრძობლად სიცოცხლისუნარიანობას. რას იტყვით თქვენ ამ საკითხთან დაკავშირებით და თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია დედოფლისწყაროში ინოვაციების და ტექნოლოგიების ცენტრის დაარსება?

-21-ე საუკუნე მალაქტექნოლოგიური საუკუნეა. ჩვენი მომავალი განვითარებისთვის მხოლოდ ტრადიციული მიდგომებით ფონს ვეღარ გახვალ, რადგან ცხოვრება ახალ გამოწვევებს გთავაზობს. ეს არის ერთგვარი შესაძლებლობაც, იმიტომ რომ, ყოველდღიურად მოდის ისეთი სიახლეები, რომლებიც მსოფლიოსთვის აქამდე ცნობილი არ იყო. ახალი მიღწევა შესაძლებლობას აძლევს პატარა და უცნობ ქვეყანას, ინოვაციური მიდგომების წყალობით, თავისი ბაზარი და ნიშა

მონახოს მსოფლიო რუკაზე. ამიტომ ინოვაციების ცენტრი ძალიან მნიშვნელოვანია.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ჰორიზონტი“ დიდი ხანია, ატარებს სამოქალაქო ადვოკატირებას ინოვაციური ცენტრის გახსნაზე და თანამშრომლობს დედოფლისწყაროს „ლაგთან“, რომელიც ლობირებს უნებს ამ საკითხს. ახალგაზრდობაზე ზრუნვა, ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

ძალიან კარგი იქნება, თუ ინოვაციების ცენტრი დედოფლისწყაროში გაიხსნება. მივესალმები და მხარს ვუჭერ ამ პროექტს. მთავრობის მიდგომის თანახმად, ასეთი ცენტრი ჯერ საქართველოს დედაქალაქში გაიხსნა, შემდეგ კი რეგიონებშიც გადმოინაცვლა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წელს, უკვე დედოფლისწყაროსაც ექნება ტექნოპარკი, სადაც ახალგაზრდები თავიანთი იდეების ხორცშესხმას შეძლებენ. და არა მარტო მომავალი თაობა, რადგან არიან ადამიანები, რომელთაც აქვთ გამოგონება, ინოვაციური იდეები და ვერ ახერხებენ ვერსად მის რეალიზებას. ასევე ბევრი მოახდენს საკუთარი თვალსაზრისის გაფართოებას, ინოვაციური განათლების მიღებას.

გვახსოვდეს, რომ მსოფლიო მიღწე-

ვები და გარღვევები ხშირად ბავშვური ოცნებების განხორციელების შედეგად მიიღწევა!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ბაზნაზე ადვოკატირების კამპანია აქტიურ ფაზაშია. საინფორმაციო შეხვედრები პარამენტულად ტარდებოდა ივნისშიც, რომორც ქალაქ დედოფლისწყაროში, ასევე, სოფლებში. შეხვედრების ძირითად საზიზნა ჯგუფს ახალგაზრდები, საგანმანათლებლო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები შეადგენენ. რომორც მოსახლეობის ჩართულობა საინფორმაციო კამპანიაში და რას მოჰყვება ისინი ინოვაციების ცენტრისგან, ამის შესახებ ა(ა)იპ „ახალი ჰორიზონტი“ ხელმძღვანელს შორენა შანუაშვილს ვისაუბრებთ.

„საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზამოქაში, აღმოჩნდა, რომ ზამოქადის ბავშვებს სკოლის უფოს ბარდა არ აქვთ სივრცე, სადაც შეძლებენ

დასაქმების თვალსაზრისით. რომელიმე სოფელს ხომ არ გამოყოფდით, სადაც ყველაზე მძიმე ვითარება დაგხვდათ?

პროექტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა სოფელ ფიროსმანშიც ჩატარდა. შეხვედრას პედაგოგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ. როგორც აღმოჩნდა, ამ სოფელში ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ახალგაზრდების განვითარების მხრივ. ზაფხულის პერიოდში მოსწავლეებს უნევთ ფიზიკურად მუშაობა სეზონურ სამუშაოებზე. ამ სივრცის გახსნის შემდეგ ისინი შეძლებენ, დამატებით, საჭირო უნარების განვითარებას და ტექნოლოგიურ სიახლეებზე ნდობას. მომავალში კი - ლირსეულ დასაქმებას. შეხვედრაზე მოსახლეობას აუხსენით, რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა ადამიანური რესურსები, ასევე, ინოვაციური მიდგომების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობასა და ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებებში, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

რეგიონებში ინოვაციების ცენტრებისა და ტექნოპარკების გახსნის მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა და ადგილობრივ მთავრობას მიიღონ



შეკრებას. მოსწავლეების უმრავლესობას ჰქონდა ინფორმაცია ტექნოპარკის შესახებ და ვისაუბრებთ იმ პარამეტრებზე და შესაძლებლობებზე, რაც უკავშირდება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცენტრის ბაზნა ქ. დედოფლისწყაროში იგეგმება, ბავშვებისთვის ეს მანძილი არ აღმოჩნდა დაბრკოლებად ადგილზე, რომ ეს სივრცე, მართლაც, საჭიროა მათი ბენეფიციარებისთვის.

მუნიციპალიტეტის სოფლებში შევხვდით და ვესაუბრეთ ტექნოპარკის სერვის ცენტრის გახსნის საჭიროებაზე და იმ ინოვაციურ განათლებებზე, რომლებიც მრავალმხრივი განვითარების საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს. ისინი შეძლებენ განვითარონ ახალი უნარები და დაეუფლონ ახალ სპეციალობებს. ასევე, მივანოდეთ ინფორმაცია ტექნოპარკის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებზე, ტრენინგებსა თუ სხვა აქტივობებზე.

-მუნიციპალიტეტის მასშტაბით, თითქმის ყველგან იდენტური ვითარებაა ახალგაზრდების

ცოდნა, როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მენარმეობის მიმართულებით.

ტექნოპარკი ქმნის ფიზიკურ სივრცეს, სადაც აკუმულირებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები, რაც გამიზნულია, რომ ემსახუროს საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

სტატია მომზადებულია ა(ა)იპ „ახალი ჰორიზონტი“ მიერ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მხარდაჭერით პროექტის: „ინოვაციური სერვისების მხარდაჭერა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის,“ შესაბამისად. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: „მუნიციპალიტეტის სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT)“ ფარგლებში.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან დოკუმენტის ავტორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის შეხედულებებს.

შესაქოა ოცნება ახალს

რადგან ყველანი გავშვური მივდივართ, გვსურს, რომ ჩვენი ოც-



„ეკოლოგიური დიდი მსოფლიო მიღწევა“ ბავშვური ოცნების რეალიზება...



ნებაში ახლავს, მაგრამ იმაზე პარტი არაფერია, თუ ეს აღრულ ასაკშივე მოხდება და არა კალიან დიდი ხნის შემდეგ... თანამედროვე ცხოვრება და ტექნიკური მიღწევები ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. საჭიროა პატარა მოწოდება და გიჟი. დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც თავად ალნიშნავენ, გიჟის მომცემი ინოვაციების ცენტრი გახდება. გვიჩვენებთ მათი ცენტრი გახდება. გვიჩვენებთ მათი ცენტრი გახდება. გვიჩვენებთ მათი ცენტრი გახდება.

როგორ შეიძლება ახლავს ბავშვური ოცნება, ამაზე „ახალი ჰორიზონტის“ ხელმძღვანელი შირაქიანა შანსაშვილი საუბრობს:

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის გახსნაზე ადვოკატირების კამპანია აქტიურად გავაგრძელებთ ივლისის თვეშიც. საინფორმაციო შეხვედრები თუ მხარდაჭერის აქტივობები, ძირითადად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელდება. შეხვედრა გვექონდა გურჯაანის ტექნოპარკის მენეჯერთან შპს ცისკარიშვილთან. ვისაუბრეთ იმ ახალ შესაძლებლობებზე, რაც გურჯაანში ტექნოპარკის გახსნას უკავშირდება. შეხვედრა გვექონდა, ასევე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან და პირველ მოადგილესთან.

ივლისის თვეში დედოფლისწყაროში ჩამოვიდნენ ტექნოპარკის ქსელის მენეჯერი გიორგი კეჟერაშვილი და ნოდარ კანდელაკი, ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსების მენეჯერი, რომლებმაც დაათვალიერეს მერთის მიერ ცენტრის ასაშენებლად შერჩეული ადგილები. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის გახსნის საკითხთან დაკავშირებით, 2021 წლის ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთაში შეხვედრა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წარმომადგენლები, ისინი ლობირებას უწევენ ცენტრის გახსნას ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე. (შეხვედრას 10 ადამიანი ესწრებოდა), შეხვედრაზე ვისაუბრეთ ტექნოპარკის სერვის ცენტრის გახსნის აუცილებლობაზე. მათ უკვე ჰქონდათ ინფორმაცია მიმდინარე პროექტის შესახებ. მერთის თანამშრომლებიც დაინტერესდნენ ამ სახელით და აღნიშნეს, რომ ასეთი

სერვის ცენტრის აშენება/გარემონტება, მართლაც, საჭირო და მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განვითარებისთვის და ადგილზე დასაქმება-დამაგრებისთვის. ეს ხელს შეუწყობს ბიზნესის კონკურენტუნარიანობას და მდგრადობას. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთა და მისმა თანამშრომლებმა თანადგომა გამოხატეს ტექნოპარკის სერვის ცენტრის გახსნაზე. ასევე, განვიხილეთ ის პრიორიტეტული ადგილები/ტერიტორიები, სადაც შესაძლებელი იქნება სერვის ცენტრისთვის შენობის გარემონტება ან აშენება.

შეხვედრა ჩატარდა ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან. (შეხვედრას 16 ადამიანი ესწრებოდა) შეხვედრაზე ტექნოპარკის სერვის ცენტრის გახსნაზე ვისაუბრეთ. ახალგაზრდობის უმრავლესობას ჰქონდათ ინფორმაცია ტექნოპარკის შესახებ და ვისაუბრეთ იმ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე, რაც უკავშირდება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრს. შეხვედრის შემდეგ გადავიღეთ ვიდეო რგოლი. გავესაუბრეთ შეხვედრის მონაწილე ახალგაზრდებს...

შეხვედრა ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ტექნოპარკის ქსელის მენეჯერ გიორგი კეჟერაშვილით და ნოდარ კანდელაკთან ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსების მენეჯერთან. შეხვედრას ესწრებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთის პირველი მოადგილე დავით ფხოველიშვილი და ასევე LAG-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე ანა ბენაშვილი, რომელმაც ლობირების პროცესში ჩართო საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი (საგარეჯო-გურჯაანისილნალი-დედოფლისწყარო) დავით სონღლაშვილი. შეხვედრაზე განვიხილეთ პრიორიტეტული ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება ტექნოპარკის

სერვის ცენტრის აშენება/გარემონტება. შეხვედრის შემდეგ ვიყავით 4 ლოკაციაზე და გადავიღეთ ფოტოები. ნოდარ კანდელაკმა გვიჩვენა ახალი შენობის აშენება, სადაც თავიდანვე სწორად მოხდება სამუშაო ოთახების გადანაწილება. აღნიშნული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია და ფოტომასალა მივწვდით ტექნოპარკის ხელმძღვანელებს, რომლებიც უახლოეს მომავალში მიიღებენ გადაწყვეტილებას ტექნოპარკის სერვის ცენტრისთვის ადგილის შერჩევაზე.

გურჯაანში მონაწილე ახლა
კახეთში ტექნოპარკი უკვე ფუნქციონირებს. გურჯაანში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში ტექნოპარკი 2020 წლის ოქტომბერში გახსნა. პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ტექნოპარკში წარმოდგენილია სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია (ფაბლაბი) - უახლესი დანადგარებით: მაღალი წარ-

მადობის 3D პრინტერი, ლაზერული მჭრელი, პროგრამირებადი ჩარხი, CNC აპარატი, პლატების საბეჭდი როტორი, 3D სკანერი და სხვა. მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული ლაბორატორიული სერვისი დაეხმარება დაინტერესებულ პირებს მოდელირებასა და პროტოტიპირებაში.

გურჯაანის ტექნოპარკს ორი თანამშრომელი ჰყავს, მაგრამ ბენეფიციარი-ბევრი.

ჩვენი სტუმრობისას გულთბილი მასპინძლობა გავგვინიეს და თავიანთ სერვისებზე ამომწურავი ინფორმაცია მოგვანოდეს.

„ბავშვები ხშირად სტუმრობენ ამ სერვისს, ე. წ. ფაბლაბს. ეს არის სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია, ე. წ. ფაბლაბი. აქ ჩვენ გვაქვს უამრავი დანადგარი, ბრტყელ ზედაპირზე საბეჭდი, ლაზერული მჭრელი და პროგრამირებადი ჩარხი. ეს ის დანადგარებია, რომლებიც იშვიათობას წარმოადგენს და ბევრი მათგანის ანალოგს თბილისშიც ვერ შეხვდებით. ამიტომ, გასაკვირიც არაა, რომ ბავშვები სიხარულით მოდიან აქ. მათი განსაკუთრებული ინტერესის საგანს ლაზერული მჭრელი წარმოადგენს. აქ არსებული პრინტერებითა და სხვა დანადგარებით ბავშვები თვითონ ამზადებენ სათამაშოებს, ასევე პრინტერის საშუალებით ტელეფონის ქეისებზე თვითონ ბეჭდავენ სასურველ ნახატს. ინოვაციების ცენტრში საგანმანათლებლო კუთხე არის მთავარი. ტრენინგებს ვატარებთ ძალიან ხშირად, იმის მიხედვით, თუ რა ინტერესი აქვთ თვითონ ბავშვებს. მონაწილეთა ასაკიც ტრენინგის შინაარსით განისაზღვრება. ზოგადად, მონაწილეთა მინიმალური ასაკი 11 წელია. ათვალს სწორედ ამ ასაკიდან ვინყებთ სემინარების ჩატარებისთვის. რობოტიკაში, პროგრამირებასა და ციფრული ტექნოლოგიების შესასწავლად ცალკე ვატარებთ ტრენინგებს. ისე, ძირითადად, სკოლები მოგვყავს - ხოლმე. მათთვის სწავლებები უფასოა.“

ამასთან, ტექნოპარკი აერთიანებს სასწავლო ცენტრს, საქართველოს სივრცეს (co-working), სტარტაპებისა და ე.წ. „ფრილანსერებისათვის“, სადაც შესაძლებელია, გარკვეული პირობებით, საშუალო ადგილის მიღება, საკუთარი იდეის, თუ სტარტაპის გასაშენებლად. სივრცე ალჟურვი-



„ყველა დიდი მსოფლიო მიღწევა გავრცელებული ოცნების რეალიზებაა...“



ლია ყველა პირობით, რომელიც ხელს უწყობს სტრატეგიის განხორციელებას. ამ დანაშაულის გარდა, რითიც შეუძლიათ სარგებლობა, ყველაფერი არის უფასო. მაგრამ, თუ სერიულ წარმოებას დაიწყებენ, მაშინ უკვე უნდა იქონიონ მინიმალური თანხის გადახდა.

ინოვაციების ცენტრში არის სატრენინგო, საკონსულტაციო სივრცე, ასევე არის საშუალო სივრცე, სადაც გავრცელებული ოცნების პროექტებზე აქტიურად მუშაობენ. როგორც უკვე აღვნიშნავთ, ტექნოპარკში ხელმისაწვდომია ასევე საკონსულტაციო ღირებულება, კომპანიებისთვის ერთობლივი საშუალო ადგილები და სხვა სარესურსო, რომლებიც ძველიან ერთიან ეკოსისტემას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელს უწყობს ინოვაციური იდეების განხორციელებას რეგიონში.

გურჯაანის ტექნოპარკის გახსნის მიზანია, დავებმართო ადგილობრივ მონაწილეობას, კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტს გამოიყენონ აქამდე რთულად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა, როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მენეჯმენტის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ახალგაზრდობის ჩართულობა და მათი ცოდნის ამაღლება, თუ როგორ უნდა შექმნან სტრატეგია, რა ეტაპები უნდა გაიარონ იმისთვის, რომ ბიზნესად ჩამოყალიბდნენ და წარმატებას მიაღწიონ“.

მაა ცინსარიშვილი, გურჯაანის ტექნოპარკის მენეჯერი - „ტექნოპარკი გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის დახმარებით სონლულაშვილის იდეით შეიქმნა. იმისთვის, რომ იდეა რეალობას ქცეულიყო, შესაბამისი სივრცის მოწყობა იყო საჭირო. ამისთვის შენობის მოძიება დაიწყო. რადგან საქმე ეხებოდა ინოვაციების ცენტრს, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებდა, შენობაც გარკვეული სტანდარტების შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ალტერნატივა გვექონდა - ან ძველი შენობის რეაბილიტაცია უნდა მომხდარიყო, ან ახალი უნდა აგვეშენებინა. დიდი

ხნის ფიქრის შემდეგ და დავით სონლულაშვილის რეკომენდაციით მივედით დასკვნამდე, რომ შენობის მდგრადობისა და, შემდგომში, პროექტის მდგრადობისათვის, ახალი აგვეშენებინა. ამ შემთხვევაში ერთი წელი „ნაგვართვა“, მაგრამ როდესაც ხარისხზე აკეთებ აქცენტს, რაღაცაზე უარის თქმა გინევს. ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, რომელიც ლოდინად ღირდა.

ბატონი დავითის იდეით, რადგან გურჯაანი არის სატრანსპორტო ცენტრი, უნდა იყოს დიდი სივრცე და ყველა სერვისი თავმოყრილი, რომ კახეთის ნებისმიერი მუნიციპალიტეტიდან მოსულ ადამიანს ყველა სერვისის ხელმისაწვდომობის საშუალება ჰქონოდა. გადამწყდა, რომ აქ გავკეთებულყო რეგიონული ტექნოპარკი. ასეც გამოვიდა, რადგან მთელი საქართველოს მასშტაბით, რეგიონებში რაც კი ტექნოპარკები არსებობს, ეს ყველაზე მასშტაბურია.

ტექნოპარკი შარშან, ოქტომბრის ბოლოს გაიხსნა. პანდემია დაგვიმთხვა და ბევრ რამეში ხელი შეგვიშალა. მაგრამ ის ძირითადი მიზანი, რისთვისაც ინოვაციური ცენტრი შეიქმნა, მიღწეულია. ივნისის ჩათვლით, ტექნოპარკს 1000 ბენეფიციარი ჰყავს.

ახალგაზრდა თაობა აქტიურად სარგებლობს ჩვენს სივრცეში არსებული მომსახურებით, ბევრმა მათგანმა თავის საპილოტე იდეასაც შეასხა ფრთები“.

აღნიშნული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობას, მაღალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ძალის შექმნას, ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებასა და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიზღვებას.

ტექნოპარკი არის ფიზიკური სივრცე, სადაც თავმოყრილია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები და წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას ინოვაციებისა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების განვითარებისთვის. ტექნოპარკი აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, მიმართულებისა და იდეების მქონე ადამიანებს და ხელს უწყობს მათ ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, შექმნან ინოვაციური, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ ბაზარზე.

სტატია მომზადებულია ა(ა)იპ „ახალი ჰორიზონტის“ მიერ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მხარდაჭერით პროექტის: „ინოვაციური სერვისების მხარდაჭერა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის“ შესაბამისად. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: „მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT)“ ფარგლებში.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან დოკუმენტის ავტორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის შეხედულებებს.



ულოცავენ! ბიორგი ნატროშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მწერალთა გაერთიანება „ფიროსმანის“ თავმჯდომარეს და ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორს, ბატონ გიორგი ნატროშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს-8 აგვისტოს. „ხორნაბუჯის“ თითოეული ნომრის გამოსვლას დიდი ინტერესით ელოდებიან არა მარტო დედოფლისწყაროში, არამედ მთელს საქართველოში მცხოვრები პროზისა და პოეზიის მოყვარულნი. თქვენ ქართულ საქმეს აკეთებთ! საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის და მწერალთა ასოციაციის, გამგეობის წევრთა სახელით: ნიკოლოზ ჯანაშიაშვილი, ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აგლაძე, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი.

მწვანე გრანტები დაემატა

„სოფლის განვითარების პროგრამას“ ახალი მიზნობრივი კომპონენტი, მწვანე გრანტები (GMG) დაემატა. „სოფლის განვითარების პროგრამას“ სოფლის განვითარების სააგენტო ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ ფარგლებში ახორციელებს. პროგრამა, რომლის მიზანია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სამენარემო საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა, ქედას, ხულოს, ბორჯომის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ხორციელდება.

ამინდი		დედოფლის		ლის		წყარო	
ორშაბათი 09.08	სამშაბათი 10.08	ოთხშაბათი 11.08	ხუთშაბათი 12.08	პარასკევი 13.08	შაბათი 14.08	კვირა 15.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	
☀️	🌙	☀️	🌙	☀️	☁️	☀️	
34°	25°	34°	23°	33°	21°	33°	
23°	33°	23°	33°	23°	31°	20°	
28°	19°						

გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აგებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჯანაშიაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშიაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა კობახიძე (საქმის მწარმოებელი); გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ეკოლოგ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591- 09 24 65 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	---	--	---